
გენგეგმა მ. 1:500



მშენებლობის კალენდარული გრაფიკი (თვეები)

№	ობიექტის და სამუშაოთა დასახელება	თვე / დღე	1	2	3	4	5	6	7	8
			25	25	25	25	25	25	25	25
1	ტერიტორიის მომზადება, დაკვალვა	25	1 / 25							
	საოფისე 1 სართულიანი შენობა, საკომპრესორო და ფარდული									
2	ქვაბულის დამუშავება, ფუძის მოწყობა	50		2 / 50						
3	სართულის რკ.ბეტონის და ლითონის კონსტრუქციის მოწყობა, სახურავის მოწყობა	75			3 / 75					
4	ფარდულის მოწყობა	50				2 / 50				
5	საინჟინრო ქსელების მოწყობა	25						1 / 25		
6	მოპირკეთების სამუშაოები	50						2 / 50		
7	ფასადის სამუშაოები	25							1 / 25	
8	სამუშაოების დასრულება	50							2 / 50	

მითითება: სამშენებლო პერიოდის ათვლა დაიწყება მშენებლობის ნებართვის გაცემის დღიდან.

განმარტებითი ბარათი

1. მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი დამუშავებულია შემოკლებულ ვარიანტში.
2. სამშენებლო მოედანი მდებარეობს ქ. თბილისში, გულუას ქ. №22. პროექტით გათვალისწინებულია გაზგასამართი სადგურის მშენებლობა, კერძოდ ოფისი-მაღაზიის, საკომპრესოროს, ფარდულის მშენებლობა, დამონტაჟდება ტრანსფორმატორი. შენობები ერთსართულიანია. საძირკვლის ფუძედ მიღებულია ძირითადი ბრუნტი. გაზგასამართი სადგურის /ოფისი-მაღაზია და ფარდული/ კონსტრუქცია – მონოლითური რკ.ბეტონის, ასევე ლითონის კარკასი. საძირკვლები წერილოვანი და ლენტური. სვეტები და რიგელები მონოლითური რკბეტონის ასევე ლითონის კონსტრუქცია. სახურავი ბრტყელი გადახურვა. საკომპრესოროს შენობა ერთსართულიანია. შენობის კონსტრუქცია – მონოლითური რკინაბეტონის. კედლების შევსება - ბლოკით. სახურავი - ბრტყელი გადახურვა. მშენებლობის ბოლო პერიოდში მოხდება ტრანსფორმატორის მონტაჟი და ტერიტორიის კეთილმოწყობა.
3. საპროექტო ობიექტის მშენებლობის ხანგრძლივობა განისაზღვრება საამშენებლო ნორმების და წესების –СНиП-1.04.03-85 მიხედვით. აღნიშნული სამუშაოების გათვალისწინებით მშენებლობის ხანგრძლივობად მიღებულია 8 თვე.
4. პირველ ეტაპზე მოხდება ტერიტორიის შემოღობვა და დროებითი ნაგებობების განთავსება. შემდეგ მოხდება ქვაბულის დამუშავება და საძირკვლების მოწყობა. შემდეგ მოხდება შენობების და ფარდულის მშენებლობა. დანარჩენი პერიოდი დაეთმობა სამუშაოების დასრულებას, კერძოდ: კარ-ფანჯრების მოწყობა, საინჟინრო ქსელების, მოპირკეთების და ფასადის სამუშაოებს. ბოლო პერიოდში მოხდება ტერიტორიის კეთილმოწყობა. სამშენებლო მასალების მიწოდება მოხდება ეტაპობრივად მშენებლობის პერიოდების გათვალისწინებით.
5. სამშენებლო მოედნის უზრუნველყოფა დროებითი ენერგიით და წყლით მოხდება საპროექტო ქსელებიდან. სამშენებლო ნაბავი ბატანილ იქნას მოედნიდან.
6. მშენებლობის ორგანიზაციის პროექტში მომუშავეთა შრომის უსაფრთხოების და სანიტარულ-ჰიგიენური მომსახურების საკითხებზე მთავარ წყაროდ წარმოდგენილია სამშენებლო ნორმებისა და წესების СНиП-III-4-80* <<უსაფრთხოების ტექნიკა მშენებლობაში>>.

პირობითი აღნიშვნები
- დროებითი ღობე
- დროებითი ნაგებობები
- შესასვლელი მოედანზე

ამწის ტექნიკური მახასიათებლები
- საავტომობილო ამწე KC-35714K
- მაქს. ტვირთამწეობა – 16 ტ
- ისრის მაქს. შვერა – 18 მ
- კაკვის აწევის სიმაღლე – 25 მ

მითითებანი
1. დაცულ იქნას უსაფრთხოების ღონისძიებები;
2. აკრძალულ იქნას უცხო პირების მოხვედრა სამშენებლო მოედანზე;
3. პირველ ეტაპზე მოხდება დროებითი ღობის მოწყობა და ტერიტორიაზე განთავსდება დროებითი ნაგებობები /განთავსების ადგილი დაზუსტდეს ტერიტორიაზე მოსამზადებელ პერიოდში/;
4. ს/ს სამუშაოებისათვის გათვალისწინებულია მობილური ამწე საავტომობილო სვლაზე, რომლის დგომის პოზიცია შეირჩეს მშენებლობის პერიოდში;
5. საძირკვლის ბრუნტი მიღებულ იქნას ინჟინერ-გეოლოგის მიერ;
6. გათვალისწინებულ იქნას კონსტრუქტორის მითითებანი;
7. სამშენებლო მასალებით მომარაგება ძუჩის მხრიდან ეტაპობრივად მშენებლობის პერიოდში;
8. სამშენებლო ნაბავი ეტაპობრივად გატანილ იქნას მოედნიდან;

დირექტორი	გოზალიშვილი		ავტოგაზგასამართი სადგური გულუას ქუჩა N 22	ფურც.	04/14
არქიტექტორი	მასხულია			მო-1	TIFLIS CITY GIG GROUP
არქიტექტორი	გიგაური		მშენებლობის ორგანიზაცია		
დაამუშავა	თ.ზარქუა		განმარტებითი ბარათი, გენგეგმა მშენებლობის კალენდარული გრაფიკი	შპს "ტიფლის სითი ჯი აი ჯი ჯგუფი"	